




ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარეს

დავით მაღლაკელიძეს

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს წევრი ელზა ლეკვეიშვილის

2015 წლის ანგარიში



❖ ზოგადი ინფორმაცია

- საკრებულოს მაჟორიტარი წევრი რუსთავის #20 საარჩევნო ოლქის მე-9 ზონიდან.
- სამაჟორიტარო ტერიტორია - რუსთავი, 20-21 მიკრორაიონები.
- 2014 წლის ივნისიდან დღემდე - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.
- ფრაქციის- „ქართული ოცნება“ - წევრი

- ❖ ინფორმაცია საკრებულოს სხდომებში და კომისიებში მუშაობის შესახებ:
 - ქ.რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა - 30
 - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა - 28
 - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა - 13
- ❖ ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომებზე განხილული საკითხები:

14 იანვარი - დღის წესრიგი:

1.შპს. პოლიკლინიკა „ფიცის“ დირექტორის ნინო გეგელიას წერილის განხილვა.

22 იანვარი- დღის წესრიგი:

1.მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების პროგრამის განხილვა.

23 თებერვალი - დღის წესრიგი:

1. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის N85 განკარგულებაში ცვლილების შტანის შესახებ“ (ვეტერანების სოციალური დაცვის პროგრამა);
2. პოლიკლინიკა „ფიცის“ ბენეფიციარების წერილის განხილვა.

18 მარტი - დღის წესრიგი

1. ქალაქ რუსთავის მე-11 საჯარო სკოლის დირექტორის წერილის განხილვა, ამავე სკოლისთვის იაკობ გოგებაშვილის სახელის მინიჭების თაობაზე;
2. ქალაქ რუსთავის ლეონიძის ქუჩის მაცხოვრებლების კოლექტიური განცხადების განხილვა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის არაეფექტური მუშაობის თაობაზე.

6 აპრილი - დღის წესრიგი:

1. მინიმალური სასურსათო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებით შპს. „ალიონის“ დამფუძნებლის ლაშა გიგაურის მოსმენა.

29 მაისი - დღის წესრიგი

1. ა(ა) იპ „ქალაქ რუსთავის საბავშვო ბაღების გაერთიანების“ დირექტორის გიორგი მაღლაფერიძის მოსმენა;
2. ა(ა)იპ „რუსთავის მოხუცებულთა სახლის დირექტორის მალხაზ კვინიკაძის მოსმენა.

19 ივნისი - დღის წესრიგი

1. „ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2015 წლის პროგრამების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2014 წლის 26 დეკემბრის N185 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
2. „აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის შესახებ“ ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 8 მაისის N344 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

15 ივლისი - დღის წესრიგი:

1. „აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის“ მიმდინარეობის და სამომავლო გეგმების განხილვა;
2. მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური პროგრამების განხილვა და სამომავლო გეგმების შემუშავება;
3. „მინიმალურ სასურსათო პროგრამაში, ზაფხულის სეზონის მიხედვით კვების რაციონში ცვლილების შეტანის განხილვა.

13 ოქტომბერი - დღის წესრიგი:

1. ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური მომსახურების, ჯანმრთელობის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურების

მოსმენა 2016 წლის ბიუჯეტში სოციალური პროგრამების და მასში ცვლილებების შეტანის შესახებ;

2. საბავშვო ბაღში დაურეგისტრირებელი ბავშვების მშობელთა კომიტეტის წევრების განცხადების განხილვა;
3. ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელის გიორგი მაღლაფერიძის მოსმენა 2015 წლის ხარჯვითი ნაწილის და 2016 წელს გასახორციელებელი გეგმების შესახებ.

21 ოქტომბერი - დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „სასპორტო სკოლების განვითარების ცენტრის“ მოსმენა;
2. მოქალაქე მალხაზ დალალიშვილის განცხადების განხილვა.

11 ნოემბერი - დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ „დასუფთავების“ სამსახურის ხელმძღვანელის 2015 წლის ანგარიშის მოსმენა;
2. ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ცენტრის“ დირექტორის 2015 წლის ანგარიშის მოსმენა.

19 ნოემბერი - დღის წესრიგი:

1. ომის ვეტერანთა ინდივიდუალური დახმარების პროგრამის განხილვა;
2. უსახლკარო პირების თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის განხილვა.

❖ ინფორმაცია ამომრჩეველთა მიღების, მათი წერილები, წინადადებების და განხილვების შესახებ:

- ამომრჩეველთა მიღება მაჟორიტარის ოფისში;
- ✓ მიღების დღე - ყოველი კვირის ოთხშაბათი;
- ✓ 2015 წელს მაჟორიტარის ოფისში მივიდა - 254 ადამიანი,
- ✓ დეპუტატს განცხადებით მიმართა - 9 მოქალაქემ;
- ✓ მაჟორიტარი დეპუტატი პირადად შეხვდა - 36 მოქალაქეს;
- ✓ გასვლითი შეხვედრა მოეწყო - 32 მისამართზე;
- ✓ სატელეფონო კონსულტაცია გაეწია - 57 მოქალაქეს.
- მოქალაქეთა მიღება რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

- ✓ პირადი შეხვედრა - 23 მოქალაქე;
 - ✓ კომისიის სახელზე შემოსული განცხადებების რაოდენობა - 26;
 - ✓ კომისიის თავმჯდომარის გასვლითი შეხვედრები მოეწყო - 13 მისამართზე;
 - ✓ სატელეფონო კონსულტაცია გაეწია - 74 მოქალაქეს.
- ❖ თანამშრომლობა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიასთან:
 - სამუშაო შეხვედრები ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერთან დავით ჯიქიასთან;
 - მონაწილეობა რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის სხდომებსა და მათ მიერ ინიცირებულ ღონისძიებებში;
 - სამუშაო შეხვედრები ქ. რუსთავის მერიის და ა.(ა)იპ. სამსახურებთან.
- ❖ ქ. რუსთავის 20-21 მიკრორაიონებში განხორციელებული ღონისძიებები:
 - ✓ საგზაო სამუშაოები- ჩერკასკისდა ტაშკენტის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია- ღირებულება 600 ათასი ლარი;
 - ✓ ჩერკასკი-ტაშკენტის ქუჩაზე აღდგა # 8 სამარშრუტო ტრანსპორტის მოძრაობა და დამონტაჟდა გარეგანათების ბოძები;
 - ✓ საკანალოზაციო და სასმელი წყლის რეაბილიტაცია - 5 მისამართზე;
 - ✓ სადარბაზოს შესასვლელის გადახურვა - 11 მისამართზე;
 - ✓ საბავშვო მოედნები - 4 მისამართზე;
 - ✓ პანდუსი - 2 მისამართზე;
 - ✓ სახურავების გადახურვა - 4 მისამართზე;
 - ✓ მედიკამენტებით დახმარება - 106 ადამიანზე;
 - ✓ ოპერაციების დაუფინანსდა - 42 ადამიანი;
 - ✓ სადღესასწაულო დახმარება გაიცა სოციალურად დაუცველ - 50 ოჯახზე;
 - ✓ უფასო სასადილოს ვაუჩერით სარგებლობს - 268 ადამიანი;
 - ✓ კომუნალური შეღავათებით სარგებლობს - 11 ოჯახი.
- ❖ სამაჟორიტარო უბანში ჩატარებული ღონისძიებები:
 - ✓ მარტოხელა მოხუცს გაეწია დახმარება და სამზარეულოში დაუმონტაჟდა ჭურჭლის სარეცხი ნიჟარა;
 - ✓ საახალწლო საჩუქრები გადაეცა 10 სოციალურად დაუცველ ოჯახს;
 - ✓ საახალწლო საჩუქრები გადაეცა მოხუცებულთა სახლის ბენეფიციარებს;

- ✓ დახმარება გაეწია მე-20 მიკრორაიონში მცხოვრები დევამეების ოჯახს;
- ✓ დახმარება გაეწია ხანძრით დაზარალებული ჯიოეების ოჯახს;
- ✓ ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო ღონისძიებაში 100-მდე ბავშვი ესტუმრა მუშტაედის პარკს;
- ✓ 8 მარტის ღონისძიება- 20-21 მიკრორაიონებში მცხოვრები ქალბატონებისთვის;
- ✓ საადგომო საჩუქრები გადაეცა მოხუცებულთა სახლის ბენეფიციარებს;
- ✓ დასუფთავების და გამწვანების აქციები;
- ✓ საცხოვრებელი კორპუსების თავმჯდომარეებთან შეხვედრა;
- ✓ დაბადების დღის მილოცვა რუსთაველი მსახიობის ნათელა მუხლიშვილისთვის;
- ✓ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების საერთაშორისო დღის აღნიშვნა;
- ✓ „რუსთაველაქობის“ კვირეულის ფარგლებში საუკეთესო ეზოს გამოვლენა და დაჯილდოება;
- ✓ ირაკლი მელიქიძისთვის საქველმოქმედო კონცერტის გამართვა;
- ✓ მე-20 მიკრორაიონის #10-ის ეზოში ნაძვის ხისთვის მოსახლეობას გადაეცა საახალწლო სათამაშოები, ფერადი განათება და გაეწიათ ტექნიკური დახმარება.

❖ საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის მიერ ჩატარებული ღონისძიებები:

- ✓ უფასო სასადილოების შემოწმება;
- ✓ საბავშვო ბაღებში არსებული მდგომარეობის გაცნობა;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებების დათვალიერება და მედპერსონალთან გასაუბრება;
- ✓ სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა ბანაკის დათვალიერება.

❖ ინიციატივები და რეკომენდაციები

- ✓ მინიმალურ სასურსათო პროგრამის რაციონში სეზონური ცვლილების განხორციელება;
- ✓ ინიციატივები „აუტიზმის, გონებრივი განვითარების შეფერხების ან დაყოვნების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის პროგრამის“ ეფექტურობის გაზრდის მიზნით;

- ✓ უსახლკარო პირთათვის საცხოვრებელი ფართების მოძიების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნა;
- ✓ ბაგა-ბაღებისთვის ფართების გამოთავისუფლების რეკომენდაცია;
- ✓ პროფესიული და უმაღლესი სასწავლებლების შექმნის და განვითარების ინიციატივა;
- ✓ საბავშვო ბაღებში მორიგე ჯგუფების შექმნა;
- ✓ რუსთავის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უპატრონო, მიუსაფარი ძაღლების მოვლა-პატრონობა.
- ✓ სამაჟორიტარო ზონაში მუნიციპალური ტრანსპორტის (ავტობუსი) დანიშვნა.

❖ თანამშრომლობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ტრენინგები და კონფერენციები:

- ✓ საკრებულოს წევრ ქალთა ფორუმის მეორე კონფერენცია;
- ✓ სამოქალაქო საზოგადოება ქალთა დემოკრატიისთვის- ტრენინგი;
- ✓ პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის - ტრენინგი;
- ✓ ქალთა საინფორმაციო ცენტრი - ტრენინგი;

ელზა ლეკვეიშვილი

ე. ლაქ

სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე